


სპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 30 ივლისი 19 1898 წ. № 30

შინაარსი: კვირიდან კვირამდე.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—წერილი ქუთაისიდან არიძისა.—საფრანგეთში ფ. პაჭრიშვილისა.—შორს, შორს!. ლექსი კ. გოგოლაძისა.—ქუთაისის ხელოსანთა საყურადღებოთ ბ. ალექსიძ სა.—ტახი (გაგრძელება) დ. თომაშკ-ლისა.—წერილი რედაქციის მიმართ —საქველ-მოქმედო საქმე.—კვალის ფოსტა ქუთაისის ბანკის და კერძო განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

## კვირიდან კვირამდე.

*უკანასკნელი საბუთი—„მომავალი იმედი“—მღლის შირი—სასეირო ამბავი—ერთი „ოტ-მუსკი.*

Ეს რამდენი ხანია ქართველი საზოგადოება სენაკის სკოლის შესახებ საბუთს თხოულობს: გაგვაგებიეთ ერთი, რატომ ინსპექტორია მართალი და სხვები კი დამნაშავენი. ეს საბუთი დამალა გამგეობამ, დამალა სამზრუნველო კომიტეტმა და, რაღა გვექნა, ამ „დამალეიას“ თამაშით უნდა დავკმაყოფილებულიყავით. მაგრამ მოგვხედა ღმერთმა, არ დაგვრჩით ერთიანათ წყალ-წაღებული. ამ სანატრელ საბუთმა იგორა, იგორა და ბოლოს ქუთაისის ბულვარზე გამოგორდა, აქ გახლავართ! მერე ვინ არის იქ? ეს გახლავს სენაკის სკოლის ინსპექტორი გადაკაპიწებული გადახახმ-ხებული და მოედანზე სამუშტი-კრივოთ გამოსული. —ჩემი სიმართლის საბუთი გნებავს?—შეჰყვირა მან ერთ იქ გამვლელ ახალ გაზდას.—აი ეს საბუთიც—უჩვენა თავის მუშტზე და კიდევაც მიეარდა გამძვინვარებული. აი რა რაინდი ყოფილა ეს სენაკის გმირი, აი რა ელა-დიდების პატრონი ყოფილა ჩვენი ბურჯების მარჯვენა ხელი. ამიერიდან გეეცოდინება, რომ ბ. ყიფიანის და მის მფარველთა საბუთი ბ. ყიფიანისვე მუშტია,—ისე როგორც ტარიელ მკლავაძის სამართალი მისივე მკლავებია. ბ. ინსპექტორი—იგივე ტარიელ მკლავაძეა, ხოლო მის დამქაშთა მეოხებით სკოლის სათავეში ჩაყენებული. აი რა თვისების კაცს მომარჯობენ თფილისის ბურჯნი და ქუთაისის წმიდანნი! ბ. ყიფიანი სკოლის ინსპექტორათ—ეს ცემა-ტყეპის და მუშტი-კრივის გაინსპექტრობაა, ეს ჩვენი ქვეყნის რაინდთა გამრავლებაა. მარა რაღა მაინც-და მაინც ამ ახალ-მოდის სწავლების ასპარეზათ სამეგრელო გამოირჩიეს და არა სხვა რომელიმე კუთხე. იქ ხომ რაინდები უამისოთაც ბევრია...

***

და ასე ბურჯნი, წმინდანნი და რაინდნი ხელი-

ხელ გაყრილნი მოედანზე გამოვიდენ და „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ არხეინათ გამღერიან. ვინ არის ხმის ამომღები, ენის შემბრუნებელი! ამ საერთო ოროველას ყველა დალახვრული და დაშინებული ჰყავს, განსაკუთრებით ჩვენი „მომავალი იმედი“, ჩვენი სტუდენტობა. მოგეხსენებათ, რომ ამ ვაჟ-ბატონთ პირზე მუდამ სიმართლე და ჭეშმარიტება აკერიათ, ასე გგონია სწორეთ ესენი უნდა იყვენ სიმართლის და ჭეშმარიტებისათვის წამებულნიო. მარა როგორც კი რაიმე საქმე გამოტყვრება ეს წამებულნიც უკან დგებიან და სულ რაღაც უმნიშვნელო საგანზე დავიდარაბას ტეხენ. აი მაგ. ოდესელ სტუდენტობამ ლამის არის მთელი საქართველო გადააყრუოს, ერთ ჩვენ ნაამაანაგევმა ვალი არ გადაგვიხადაო. ვალის გადაუხდელობა, რასაკვირველია, არ არის მოსაწონი, მარა არც ის უნდა იყოს მოსაწონი, რომ ეს საქმე შარაზე გამოიტანოთ. ხოლო თავის მოწონება იმით, რომ ეს თუ ის ქართული წიგნი არ წამიკითხავსო — ეს ხომ მეტის მეტია. რა ბევრი რამ იბეჭდება ქართულად, რომ იმის წაკითხვის დრო არ ჰქონდეთ. ერთი სიტყვით თუ ხედვენ რასმეს ისევ თავის საქმეს ხედვენ, საზოგადო საქმეები კი მათ ყურადღების გარეშე რჩებიან. ისწავლე, დიპლომი აიღე და ადგილი იშოვე — აი ჩვენი სტუდენტების მიზანი და ლტოლვილება. და რადგანაც ფული საჭიროა სწავლისათვის, სწავლა დიპლომისათვის და დიპლომი ჯამაგირის, ჯიბის გასქელებისათვის — ცხადია თუ რატომ მოთქვამენ ამდენს უფულობაზე. მარა საკვირველი ის არის, რომ როგორც უკანასკნელ მიზანს მიაღწევენ, ჯამაგირს გაიკრავენ, მაშინვე ავიწყდებათ თავისი ჯერ კიდევ ამ ბედნიერებას მოკლებული მოძმენი და მათთან ერთად ავიწყდებათ მათი ვალი. ერთი სიტყვით სტუდენტობაც იბრძვის, ახალი ძველს ებრძვის და ძველი ახალს, ხოლო ყველა კი ერთად ჯამაგირს ეტრფის...

***

მარა რაღა მარტო სტუდენტური ბრძოლა, ამას დიდათ არ ჩამოუვარდება არც არა სტუდენტთა ანუ ნასტუდენტართა ბრძოლაც. გასულ კვირაში ვწერდით, ქუთაისის ოპოზიცია ჩაფლავდა მეთქი. და მართლაც ჩაფლავდა, და მერე როგორ! ეს ბოლო მოელოდა მას, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ზეიმით გადმოგვძახეს ომი მოვიგეთო! ეს მოგება მაშინვე საეჭვო იყო. თუ ოპოზიციის ამომრჩევლები უმრავლესობა იყო, რატომ გაათეთრეს მოწინააღმდეგენიც. თუ კი ბ. ქიქოძე და ბ. ლოლუა ორი სხვა-და-სხვა პარტიის მეთაურნი იყვენ, რატომ ორივე იქმნა არჩეული? ერთ-ერთი პარტია ხომ უნდა ყოფილიყო უძლიერესი. მაშ რატომ არ გააშავეს მეორე პარტიის კანდიდატნი? აშკარაა, აქ საქმე რაღაც სხვანაირათ დატრიალებულა და არა ისე, როგორც ოპოზიცია გაიძახოდა. აქ პარტიობა კი არა, უბრალო ამომრჩეველთა თავ-ყრილობა ყოფილა, სადაც შემთხვევით ზოგი ამოურჩევიათ და ზოგიც არა. ამ შემთხვევით ამორჩეულებსაც, რასაკვირველია, შემთხვევითვე უნდა აერჩიათ თავი და მისი თანაშემწე. და მართლაც ეს არჩევანიც შემთხვევითი იყო. ერთ და იმავე უმრავლესობამ აირჩია ბ. ლოლუა თავათ და უარ ჰყო მის მიერ წამოყენებული კანდიდატი გამგეობის წევრათ. ერთ და იმავე უმრავლესობამ უარ ჰყო ოპოზიციის კანდიდატი თავათ და მიიღო მისივე კანდიდატი გამგეობის წევრათ. ნუ თუ აქედან არ ჩანს, რომ არც ერთ „პარტიას“ პარტიული არაფერი ხლებია: არც პროგრამმა, არც დისციპლინა, არც პარტიული შეგნება — ერთი სიტყვით არაფერი, რის პარტია, რის ბრძოლა ეს მხოლოთ სიტყვის მასალაა, ბულვარდელთა დასათრობათ გამოგონილი, მარა საკვირველი ის არის, რომ ამ თავის ძირითად შეცდომას ოპოზიცია არ გრძნობს და თავის დამარცხებას რაღაც უბრალო მიზეზებს აწერს. ასეთი ნუგეში დაძინების, უძრაობის ნუგეშია, ეს ძილის პირია და არა სხვა რამე.

***

ერთი უფრო საყურადღებო ბრძოლა თფილისში წარმოებს. ერთი მხრით დგას „კავკაზი“ მეორე მხრით „ახალი მიმოხილვა“ და ორივეს ერთად მეტივეთა ამბავი გააქვს და გამოაქვს. პირველი იცავს, საზოგადოთ, სოფელს ქალაქის წინააღმდეგ. და რადგანაც მეტივენი სოფლელნია საჭიროა მათი ინტერესების დაცვაცო. მეორე, საზოგადოთ, იცავს ქალაქის ინტერესს და თანაც სურს სოფელიც არ დაიჩაგროს, მარა რადგანაც თხა და მგელი ერთად ვერ ძოვს, ამიტომ მას ხელში ბოლოს ქალაქი რჩება. მარა აქ კეთდება ნახტომი, „ახ. მიმოხილვისთვის“ ქალაქი — ეს მისი საბჭო და გამგეობაა. მაშასადამე საჭიროა ამათი დაცვაც ე. ი. გამოდის საბჭოს ორგანოთ. ხოლო ეს საბჭო რა საბჭოა ეს ყველამ უწყის. და ასე „კავკაზი“ ოპოზიციობს, ხოლო „ახალი მიმოხილვა“ კი მფარველობს, მფარველობს გამგეობას, გამგეობის კასას და სხ. სწორეთ რომ სასეირო სანახავია, ლიბერალი კონსერვატორობს და კონსერვატორი ლიბერალობს! კონსერვატორი ამბობს: „ქალაქის გამგებლებმა ისარგებლეს მეტივეთა უვიცობით, გაჭირებით, დიდათ საშიშარი მუშაობით და მრავალ წელთა განმავლობაში გამოწუწნეს მათი სისხლით მორწყული რამდენიმე ასი ათასი მანეთი და გაფლანგეს ეს ფული, ისე რომ არც ამ გაცარ-

ცულ საწყლებს ხედათ რამე და არც ქალაქის ელემენტალურ საჭიროებას. ამ ფულებით მათ არ გააკეთეს არც ქვა-ფენილები, არც განათება, არც ხეირიანი კანალიზაცია, არც წყლის გაწესრიგებული მილები, არც საავათმყოფო შავი მუშათათვის“ და სხ. აბა ერთი მითხარით, რომელი რადიკალი ამას ხელს არ მოაწერს. ლიბერალს ჯერ ამის პასუხი არ მოუცია... ყველა ეს სასეიროა, მკითხველო სასეირო...

* * *

სასეიროა აგრეთვე თფილისის საბჭოს საქმენიც. საბჭომ დაადგინა ქუჩები სახლის პატრონებმა უნდა გაწმინდონო და ქალაქის მუშები დაითხოვა. ახლა, ამ პაპანაქება სიცხეში, ვართ წყალ... უკაცრავოთ... სიცხე წალებულნი, არც სახლის პატრონები წმენდენ ქუჩებს და არც ქალაქი, მოდი და გაძელ ამ ხელოვნურათ გაკეთებულ თონეში! ჩვენი „კვირიდან კვირამდე“ ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს და რადგანაც ამ პროტესტით სიცხე არ მოისპობა და ქუჩები არ გასპეტაკდებიან, ამიტომ „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო“ და სამოგზაუროთ ემზადება. მარა სანამ გზას შეუდგებოდეს, პატივცემულ მკითხველს ამის ნება-რთვას თხოვს, მოკლე ვადიან „ოტპუსკს“ ემუდარება და იმედია ის ამაზე უარს არ ეტყვის. მაშ ნახვამდის, ჩემო მკითხველო, იმედია, ადრე, ძალიან ადრე გნახავ და კვირის ამბებით არ მოგაწყენ...

## სხვა-და-სხვა ამბავი.

თფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გაიცეს იჯარით ნაძალადევს ზემოთ მდებარე სამოსახლო მიწები ოთხკუთხი საჟენი ორშაურათ.

—

თფილისის მეფურნე და მეთორნეებმა მიმართეს გამგეობას: მოგვეცით იჯარით ქალაქის განაპირა მდებარე საქალაქო თავისუფალი ადგილები, სადაც გავმართავთ ფურნეს, თონეს და სხ. ხოლო პურს გავყიდით გამგეობის მიერ დანიშნულ ადგილებზე ოც პროცენტ ნაკლებ ვინემ რუსეთში იყიდებაო. გამგეობამ უარი უთხრა მთხოვნელთ, იმ მოსაზრებით რომ ახლო მომავალში თვითონ ჩვენ გვსურს პურის საცხობები გავმართოთო.

—

75 ქალაქის მოსამსახურემ სურვილი განაცხადა ქალაქის მამულების შეძენისა სახლების ასაშენებლათ. ალბათ ძალიან სარფიანი უნდა იყოს ქალაქის მოხელეობა!

—

„ახ. მიმოხ“ სოხუმიდან ატყობინებენ: აქაურ საეპარქიო კანცელარიას დღემდის არა ჰყავს თარჯიმანი და რუსული ენის უცოდინარი მთხოვნელი ძალიან გაჭირებულია. ჩამოვა თუ არა რომელიმე სოფლის მღვდელი კანცელარიაში საქმის გასაკეთებლათ, პირველ ყოვლისა ქუჩა-ქუჩა უნდა ირბინოს, ეგების ვისმე რუსულის მცოდნე ნაცნობს წაეწყდეს.

—

სახელმწიფო საბჭოს განსახილველათ წარედგინა პროექტი თუ რამდენი უნდა მიეცეთ იმ ხიზანთ, რომელნიც მემამულეთა მიერ გადასახლებული იქნებიან თავისი ადგილებიდანო. ეს კითხვა გადაწყდება შემოდგომაზე.

—

კავკასიის დიდ ვაჭართ და მრეწველთ განზრახვა აქვთ პეტერბურგში დააარსონ მთელი კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის ცნობათა კანტორა.

—

ციხის ძირს და ქუთაისში სამინისტრომ გადადვა 190 დესიატინა მიწა იჯარით გასაცემათ. მსურველები ბევრი აღმოჩნდენ, მარა შეწყნარებულ იქმნა მხოლოთ 84 კაცის თხოვნა.

—

ერთი ფრანგული გაზეთი იუწყება, რომ „ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოებას“ აზრათ აქვს კავკასიაში ლითონის სადნობი ქარხნები გამართოსო.

—

ქუთაისიდან გვწერენ: კვირას აქაურ დასის მიერ წარმოდგენილი იყო აკაკის ისტორიული დრამა „კუდურ-ხანუმ“. საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო, რადგან ჩვენ ინტელიგენციას ამ დღეს უფრო ცოცხალი წარმოდგენა ჰქონდა დღისით გამართული და იმის ცუდ თუ კარგს მხარეებზე ლაპარაკით ირთობდა თავს ბულვარსა და ოჯახებში. როგორც ეტყობოდა, პიესამ დამსწრე საზოგადოებაც ვერ დააკმაყოფილა, თუმცა ერთმა ორმა მოთამაშემ, სახელდობ ბბ. ბალანჩივაძემ და ნემომ კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები. კარგი იყო ბ. ბალანჩივაძე ტიგრან ოპოპიანცის როლშიაც ---ა. ცაგარლის ვოდევილ „ოინბაზში“.

—

ამერიკას და ისპანიას შორის ამტყდარი ომი ჩქარა გათავდება. ისპანიელები ყველგან დამარცხდენ და ახლა ამერიკელთ ზავს თხოვენ.

—

დრეიფუსის საქმე უფრო და უფრო აღელვებს საფრანგეთს. ამ ჟამათ დაიჭირეს ცნობილი ესტერჰაზი, დრეიფუს-ს მოწინააღმდეგე, და კიდევ უფრო ცნობილი პაკარი, დრეიფუსის მომხრე. ჯერ არავინ იცის, თუ რას მოიტანენ ეს ახალი პროცესები.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ხიდისთავი (გურია). ხიდისთავში ორი ხიდისთავია მკითხველო, სწორეთ ორი. ხიდისთავი ნომერი პირველი და ხიდისთავი ნომერი მეორე. პირველი ხიდისთავი ბევრით ცოტა არის მეორეზე, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს პატარა ხიდისთავი წამოჯდომია თავზე დიდ ხიდისთავს და შეუბრალებლათ აძრობს ტყავს. როგორ თუ აძრობს? ისე, აძრობს, როგორც ყასაბი ძროხას, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ყასაბი ჯერ დაჰკლავს და მერე აძრობს—პატარა ხიდისთავი კი ისე დაუკვლელათ, რომ მეორე ჯერ, როდესაც ეს ტყავი ცოტა მომთელდება, ხელახლათ გაატყაოს.

მერე და იარაღი არ უვარგა პირველ ხიდისთავს თუ? სულ „ანგლიცკი“ აქვს. არშინი, ყანთარი და დავთარი—აი ეს სამი ნივთი იმარჯვებს დიდ ხიდისთავზე. დიდი რამ ყოფილა ეს სამი ნივთი, ესენი რომ არ ჰქონოდათ იმათ ვინ იცის რა მოუვიდოდათ ამდენ ხანს. მაგალითათ, ყანთარი რომ არ ჰქონოდათ, ვინ შეიძლებდა ერთი ფუთი თუთუნის ნახევარ ფუთათ გამოყვანას, ან არშინი რომ არ იყოს, ვინ იტყოდა: ერთი არშინი ჩითი, ხოლო ნამდვილათ კი ნახევარი არშინი იქნებოდა. დავთარი ხომ რაღა ესეც ნაღდია, იმაში არ იწერება მანეთის ნისია ორ მანეთათ? ტყუილათ კი არ შეუმკიათ ეს სამი ნივთი პირველი ნომრის მეომრებს შემდეგი ლექსით, რომელიც ყველაზე არის წარწერილი:

„ოჰ ყანთარი, ყანთარი,
არშინი და დავთარი;
სხვა რათ მინდა ამქარი,
ამითაც ბევრი ავკარი. და სხ.

დიახ, ბევრი აჰკრა ამით პირველმა ნომერმა, ბევრს იღებს დღეს და ბევრს აჰკრავს შემდეგშიაც. პირველი ნომერი აფასებს ამ მის საუნჯეს და მჭევრმეტყველებას არ იშურებს, რომ ღირსათ შეამკოს ეს ღირსეული მეგობრები. „თქვენ, რომ არა ჩემო ცხოვრების განუყრელო თანამოგზაურებო, მაშ ვინ გადამქნიდა უწინდელ მღებავ ივანიკას დღევანდელ დიდ ივანეთ; ვინ მომცემდა მე კნიაზის ქალს, თქვენ რომ არა, ვინ წამოჰიმავდა ჩემ ეზოში ორ სართულიან სახლს, თუ თქვენ არა ვინ დამსვამდა მეორე ნომრის ხიდისთაველების კისერზე. თქვენ ხართ ჩემი ღმერთი, ჩემი ყველაფერი“.

ახლა რას შვრება მეორე ნომრის ხიდისთავი? ის ფილოსოფოსობს. როგორ თუ ფილოსოფოსობს? ისე, შეიყრის ერთათ თავს ეკლესიის გალავანში, როდესაც ახალ ტყავ გამძვრალია და ამტკიცებს, რომ პირველი ნომრის ხიდისთავი მისი მტერი უნდა იყოს, თუ არ მტერი აბა ვინ მოგვეპყრობა ისეო. „არა ძმავ, ასე არ გვარგია, ჩვენ უნდა დავუფიქრდეთ თავს, ბაბუასავით არ გვარგია, ჩვენი ჭუკები მაინც ნულარ იქნება მონაო“. ასეთ მუსაიფს შემდეგ ზოგი ბიბლიოთეკაში მიდის და ზოგიც სხვაგან. მორჩა და გათავდა.

ბიკენტი ლომთათიძე.

—

სად. განჯა. ამ წლის „კვალი“-ს მე 7 ნომერში ბ-ნი ივ. ბუტიკაშვილი წერდა: „დღემდის უთანხმოებით დახურული სადგურ განჯის სამკითხველო ამ წლიდან გაიხსნა“-ო... და სხვ. ჩვენ მაშინ გავჩუმდით ზემო მოყვანილ სიტყვების კითხვაზე, რადგანაც ისინი სიმართლეს სრულებით მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ ხმა არ ამოვიღეთ. დეე რაც უნდა თქვას ბ. ბუტიკაშვილმა, ოღონდ სამკითხველოს საქმე კარგათ წაიყვანოს მეთქი, რადგანაც დიდ იმედს იძლეოდა: „ჩამაბარეთ სამკითხველო და მე ვიციო.“ მართლაც თანაგრძნობის მეტი სხვა მისგან არა იყორა საჭირო: სამსახურის დროს მუდამ სადგურზე ყოფნა; უფროსებისაგან (თუ კი სამკითხველოს საქმეს ითავებდა) დიდი შეღავათი ეძლეოდა. ერთი სიტყვით, ყოველი მხრით გარემოება ხელს უწყობდა; მაგრამ, ბ. ბ—შვილის ხელში სამკითხველოს სწორეთ—„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ მოუვიდა. ადრე, ბატონებო, რამდენიმე გაზეთი მაინც მოიპოვებოდა სამკითხველოში და ახლა? ახლა კი, აგერ თვეზე მეტია, სამკითხველოში ჩვენ ერთი გაზეთიც ვერ შევნიშნეთ.

ბ-ნი გამგე ამბობს: „ფული აღარ არის, გაზეთები მოგვისპესო“. ჯერ ერთი, ეს ტყუილი გახლავთ. ბ. გამგეს ოც-და-ათ მანეთამდის, სამკითხველოს ფული, ჯიბეში უნდა ჰქონდეს და რომ მოენდომებინა მეტსაც მოაგროვებდა (არც ზემოხსენებული ფულია მისი მოგროვილი, არამედ ქართულ წარმოდგენიდან გადაცემული აქვს). მეორეთ სწორეთ გამგეზე ითქმის „ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებსო.“ ჩვენ ფოსტაში ვხედავთ, რომ სამკითხველოს სახელზე მოდის დღემდის შემდეგი გაზეთები „ივერია,“ „კვალი,“ „მოამბე“, „მწყემსი“ ორივე გამოცემა, და რამდენიმე რუსული გაზეთი..

ახლა ვკითხოთ ბ. გამგეს. რა დააშავეს ამ გაზეთებმა, რომ სამკითხველოს ღირსი ვერ გახდნენ; და ან რა დააშავეს სამკითხველოს წევრებმა, რომ შედიან სამკითხველოში და ცარიელი მაგიდის მეტს ვერას ხედავენ? არაფის არა დაუშავებიათ. ეს გახლავთ, მხოლოთ, ბ. გამგეს „კაპრიზი“ და მისდამი მინდობილ საქმისადმი არა პატივის ცემა. ზემოხსენებული გაზეთები პირველათ ბ. გამგეს მიაქვს სახლში,

ჯერ ე-თომ თითონ კითხულობს, შემდეგ ახლო ნაცნობებს გადასცემს და მერე გაზეთებს რა ემართება არ ვიცი, ხოლო სამკითხველოში კი, წამლათაც რომ გინდოდეთ ვერ იშოვნით. როგორ სურს ბ. გამგეს, რომ ამას შემდეგ ხალხს სამკითხველოზე გული არ აუცრუვდეს და თანაგრძნობა გამოუცხადონ და ან ფული მისცენ? ეს იყო თქვენი დაპირება და იმედი? ერთხელ, როცა დავეკითხე, რატომ რაც მოდის იმ გაზეთებს მაინც არ აწყობთ სამკითხველოში მეთქი, პასუხის ღირსიც კი არ გამხადა და ხელის გაქნევით გამომისტუმრა. იმედია სამკითხველოს თანამგრძნობელნი და სარევიზიო კომისიის წევრნი ბ.ბ. ი. გოგობერიძე და ე. ფანჯავიძე დროზე მიაქცევენ ბ. გამგის მოქმედებას ყურადღებას და სამკითხველოს უფრო საიმედო და საქმის გულ შემატკივარ პირს ჩააბარებენ.

ს. დოლიძე.

## წერილი ქუთაისიდან.

Დადგა ქალაქის თავის ამორჩევის დღეც. 12 ივლისს დაიწყო კრება ხმოსნებისა ქალაქის საბჭოს ზალაში. კრებას, თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი ლ. ლოლუა, რომელმაც დილის 12 საათზე რამდენსამე ხმოსნის დაფიცებას შემდეგ განაცხადა, რომ მომავალი ქალაქის თავისათვის ჯამაგირი გადაეწყვიტათ. საბჭომ ხმის უმეტესობით (54 წინააღმდეგ 2-სა) სიხარულით შეამცირა მისი ჯამაგირი 4000 მ. 3000 მანეთზე. შემდეგ იწყება ქალაქის თავის ამორჩევა, მარა წინდაწინ ოპოზიციის კალმოსანი მეთაური თხოულობს ქუთათურ ბორდეროს" საქმის გამორკვევას (რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოს მდივანმა ბ. კანდელაკმა განცხადება შეიტანა გუბერნატორთან, ლ. ლოლუამ 14 ივნისის ოქმი გადამისწორაო), თორემ ჩვენ, ამბობს ბ. დ. ნაზაროვი, ზნეობრივი საზომი არ გვექნება, რომ თქვენ, როგორც კანდიდატს, ქალაქის თავობაზე კენჭი გიყაროთო.—Мы находимся послѣ этого ужаснаго факта „подъ нравственнымъ гнетомъ", которое вы обязаны снять съ насъ, чтобы наши дѣйствія были вполнѣ свободны", განმარტა მეორე კანდიდატმა. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს ოპოზიციას, რომელსაც, ეტყობოდა, ძალიან ხელჩასაკიდებელ საქმეთ მიაჩნდა ამ საქმის გამორკვევა, რომ ეს საქმე გაირჩა იმ დაწესებულებაში, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით და აღიარეს, რომ არავითარი „პადლოგი" არ ყოფილა და, რადგან იგი მე ჩირქსა მცხებს საჭიროთ ვცანი მისი სასამართლოში გადაცემა; შემდეგ კი ეს საქმე გაზეთშიაც გამოქვეყნდება და მანამდის კი ნება არავის ჰქონდა ამის გამოქვეყნებისაო.—ა. ფიფინოვი უმტკიცებს ოპოზიციას, რომ ეს საქმე ერთმა ინსტანციამ უკვე გაარჩია, სადაც უს-ფუძვლოთ იცნეს ბ. მდივნის საჩივარი. ახლა კი მეორე ინსტანციაში ირჩევა საქმე, როგორც თავმჯდომარე აცხადებს, და ვუყუროთ კიდევ შედეგს: თუ ვინმე გამტყუნებული დარჩა და ის ჩვენ ამორჩეული გვეყოლება, კანონი ასეთ კაცს მაინც არ დატოვებს ამ ადგილზე და მოგვაშორებს, ამისათვის ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ამ საქმეზე პასუხის მოცემას ვუცადოთ და ამიტომ ამორჩევები გადავდევათო. კაი ხანს ცხარე ბაასს შემდეგ დაასახელეს კანდიდატები ჯერ წერილობით, რომლიდანაც ლ. ლოლუას მოუვიდა 31 ხმა, მ. ქიქოძეს 25, მ. დარახველიძეს 1 და დ. ნაზაროვსაც 1. უკანასკნელ ორმა, რასაკვირველია, უარი განაცხადეს და ყუთი დაიდგა ორმა პირველმა, რომლებიდანაც ლ. ლოლუას. მოუვიდა 31 თეთრი და 26 შავი, მ. ქიქოძეს კი 25 თეთრი და 33 შავი. ერთი თეთრი ყუთის კენჭი ლ. ლოლუასი საეჭვოთ გახდა, რადგან შლა ალაგას გარჩენილიყო, მარა უკვე უმრავლესობის მიერ ამორჩეულმა ლ. ლოლუამ იგი ოპოზიციას დაუთმო, ირონიით: რაც გინდათ ის უყავითო.

ასე ამნაირათ 14 ივნისის ამორჩევებით გახარებულ ოპოზიციას 12 ივლისის ამორჩევამ ყურები ჩამოაყრევინა. ოპოზიციას კიდე დარჩა ერთი იმედი, —ეს უპრავის ერთი წევრის ამორჩევა იყო, რის გადაწყვეტაც მეორე დღესვე დანიშნეს.

მეორე დღეს (13) კრება 11 საათზე დაიწყო. წინა დღის ოქმის წაკითხვით, რომლის შესწორებას ოპოზიციამ სწორეთ საათნახევარი მოანდომა და შემდეგისათვის მაინც თვისი მოქმედების გამამართლებელ საბუთათ მიიჩნია. ბოლოს, ორივე მხრიდან გაცხარებულ ბაასს შემდეგ, ბ. ნაზაროვმა თვისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით ჩააწერინა თვით თავმჯდომარეს, რამაც უფრო კომედიური ხასიათი მისცა იმდღეინდელ კრებას.

შემდეგ ქალაქის თავმა წინადადება შემოიტანა, რომ, რადგან ქალაქის გამგეობას ბევრი საქმეები აქვს და ერთი მდივანი საბჭოსაც და მასაც ვერ აუდის, ამისათვის უმჯობესი იქნება ან ახლანდელი საბჭოს მდივანი გამგეობის მდივნათ გავხადოთ და დავავალოთ საბჭოს საქმეების კეთებაც, ან საბჭომ ცალკე იყოლიოს მდივანი და უპრავამ ცალკეო, რასაც კანონიც მოითხოვსო. ასეთი წინადადება ქალაქის თავისა საბჭომ თვისი უფლებების წართმევათ მიიჩნია, რასაც ოპოზიცია გაცხარებულათ ეწინააღმდეგა და ბოლოს რომ ველარ შეთანხმდენ, გადადვეს მდივნის ამორჩევა შემოდგომამდე. როგორც ეტყობა აწი მაგ-

რათ აპირებს ოპოზიცია თვისი უფლებების დაცვას, რომელიც ხმა მაღლა გაიძახოდა: мы сильнѣе весъ, а потому возложите должность управскаго секретаря на должность думскаго и онъ пусть подчиняется намъ, а не вамъ-ო. თუმცა არ ვიცით ამ „мы"-ში ვის გულისხმობენ ისინი: ოპოზიციას მარტო, თუ მთლათ საბჭოს?! თუ საბჭოს — ამ ბოლო დროს ერთი კაცის გაღმერთება რაღათ დაჭირდათ?..

გამგეობის წევრობაზე ორმა დაიდგა ყუთი: ს. აბულაძემ და ი. ჩიმაკაძემ, რომლიდანაც მეორე, ი. ჩიმაკაძე გავიდა ხმის უმეტესობით — 40 თეთრით და 17 შავით; ეს არის სანატრელი კანდიდატი ოპოზიციისა. ბოლოს ერთ ხმათ აირჩიეს თ. პ. თუმანოვი „присутствіе"-ში ქალაქის წარმომადგენლათ.

ამნაირათ დღევანდელ თვით-მართველობაში დიდი ცვლილება არ მომხდარა. ხმოსნებს მიემატა მხოლოთ ერთი ჯგუფი დღევანდელ ოპოზიციის მოწინააღმდეგებისა, რომელსაც რაც შეუძლია დევნის ოპოზიცია. ვნახოთ ეს ორი ელემენტი როგორ იმოქმედებს ქალაქის საკეთილ დღეოთ, რომლის მკვიდრთა სამსახურისათვის ასე თავ-გამოდებულნი იბრძოდენ.

12 ივლისის კრება იმით განსხვავდებოდა 14 ივნისის კრებისაგან, რომ ამ დღეს ჩვენ მებრძოლთ ტკბილი ჩვეულება აღარ დაურღვევიათ, გათენებამდე აღარ წამომდგარან, რადგან დღეს ორივე მხარეს შეძენილი ჰყავდა ვისიც შეძენა საჭირო იყო და შეიძლებოდა, ორივემ კარგათ იცოდა ვინ ვისკენ იყო, ვის ვინ უნდოდა ქალაქის თავათ. მაშასადამე 14 ივნისსავით გათენებამდე რბენა საარჩევნო დარბაზის წინ და იქ ვნებათა ღელვების აღძვრა მდაბიო ხალხში, დღეს საჭირო აღარ იყო. როცა ისინი დაჭირდათ თავიანთი ვიწრო ინტერესების განსახორციელებელ საშუალებათ, მაშინ ორივე მხარე ლმობიერათ ეპყრობოდა მათ: იქით გაიხმობდა, აქეთ გამოიხმობდა, ეპატიჟებდა, ხელი-ხელ გაყრილი დაჰყვებოდა, თავს შორიდან, ძალიან შორიდან უკრავდა, ისე რომ, სხვა დროს დღევანდელი ბობოლები უბრალო ჩოხოსანს: მიკიტანს, მეჩექმეს, მექუდეს, მეფართლეს, მეპურეს და მისთანებს კი არა თვით უგულითადეს მეგობარს და ნაცნობს არ მისცემენ სალამს. ერთი სიტყვით „ბრბოსთვის" წაუვლია ყურში ხელი მის მოაპეკე ინტელიგენციას და თვისი წუთიერი სურვილის შესაფერათ ეუბნება: ახლა აღმა იარე, ახლა დაღმა; ეს თეთრია თქვი, რადგან ეს ჩვენთვის საჭიროა, ეს შავია რადგან ის ჩვენთვის გამოუდეგარია. ასე რომ „ბრბო" გამხდარა დღეს ოთხი ხუთი კაცის იარაღათ; იმათშივე ამოურჩევიათ თითო ოროლა უფრო გამოქნილი პირები აქეთ იქით სარბენლათ და ისინიც თავდავიწყებამდე მისულნი ვინ მოთვლის რას არ ჩადიან. თუ ასეთ თავ გასულ თითო-ოროლა პირის ქინის დამაკმაყოფილებელ ბრძოლას ჩვენ ვხედებით პროვინციებში, — ასევე ჩვენ ვერ მივუტევებთ საქართველოს ორ უმთავრეს ქალაქის მკვიდრს და უფრო მის ინტელიგენციას, განსაკუთრებით კი ქუთაისისას, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ასე ყოყოჩობს თვისი უპირატესობით, ქალაქის ქართული, პატრიარქალური ხასიათის შერჩენით. მაგრამ როგორ უნდა დაიჩემოს მან ასეთობა, როდესაც ასეთ უნიადაგო ომს უცხადებს ორ მოძმეს თავის პირადი კინკლაობისათვის. პირიქით ქუთაისის მეთაური ინტელიგენციას, თუ კი სიმართლის მოყვარეობა და ქალაქის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა ამოძრავებდა, — უნდა ცდილიყო ეს ინტერესები წამოეყენებინა წინ ბრძოლაში მტრისთვის, თუ კი, რასაკვირველია, მას იგი ქალაქის კეთილ-დღეობისათვის მტრათ მიაჩნია, და აეხსნა: რა გააკეთა ძველმა და რა გააკეთა ახალმა ქალაქის თავმა, რა დააშავა ძველმა და რა ახალმა და ან რა სურდა მას (ოპოზიციას, რომელიც ხმოსნების უმრავლესობას შეადგენდა დღემდე საბჭოში) ქალაქის საკეთილ-დღეოთ, რის თანახმა არ გაუხდა ქალაქის თავი, როგორც თვით-მპყრობელი. ასეთი შედარებები შეგვაძლებინებდა ჩვენ, უბრალო მამაკვდავთ, საფუძვლიანი დასკვნები გამოგვეყვანა მათი მოქმედებიდან და მრავალსავით მითქმა-მოთქმაზე არ დავმყარებულიყავით. დღევანდელ ბრძოლაში კი ყოვლად უხერხულ მდგომარეობაში იყო, როგორც თვით მცხოვრებლები, რომელთაც თვისს მეაპეკეთ დღევანდელნი მებრძოლნი ამოირჩიეს, ისე პრესსაც, რომლის წარმომადგენელნი, გატაცებულნი ბრძოლის ვიწრო პარტიული ხასიათით, ერთ დასს უკმევდა გუნდრუკს და მეორეს კი მოურიდებლათ მარხავდა მიწაში. ასეთი გუნდრუკის კმევა დღევანდელ ოპოზიციას შეხვდა, რადგან ქვეყნის ბურჯებათ მხოლოთ მათ მიაჩნიათ თავი და პრესსაც, მათი ყურ-მოჭრილი მონა, აბა მათზე ეჭვის შეტანას როგორ ვისმე აფიქრებინებდა... ასეთ საპირადო ნიადაგზეა დღეს დაფუძნებული მებრძოლთა დროშა, თორემ ნამდვილ-იდეალურათ სხვა-და-სხვაობაზე რომ იყოს იმათი დასდასობა დამყარებული ჩვენც მათი საყვედურო რა გვექნებოდა და ასეთი დასების შედგენას მათ როგორ ვუსაყვედურებდი, რადგან უამისოთ ცხოვრებაც შეუძლებელია. მარა არის რამე იდეიური დღევანდელ ქუთათურ დასობანაში? ვგონებთ რომ არა და ამაზე ის არ მოგვიწერს ხელს, ვინც ჩვეულებრივათ ტყუ-

ვდება მაღალ-მაღალი ორატორული სიტყვებით და ლიბერალობით.

—

ჩვენ სენაკელ პედაგოგ-გმირს ბ. ს. ყიფიანს სენაკი რომ აღარ ეყო საგმირო საქმეთა ასპარეზათ, დღეს მას ქუთაისიც გაუხდია სასპარეზოთ და რაც იქ დააკლდა, „საქმენი საგმირონი", იმას აქ ასრულებს. ამ ხელათ იერიში მიიტანა მან თვის მფარველ-პატრონთან ამ დღეებში მყოფ ახალ-გაზდების დეპუტატზე, რომლის ახალგაზდური ასეთი გაბედულება მას, თურმე, არ მოეწონა და თან წინადღით თავისი დამქაშების წაჩურჩულ-წამოჩურჩულებით გაილესა კბილები ბ. პ. გ—ლზე და კვირას სობოროს გვერდით 11 საათზე თომაველს უძახის „на пару словъ" „пару слово" „пару" საქმეთ აქცია და დაუწო მას ხელით ცემა და როდესაც ჯოხი უნდა დაეკრა თავში ბ. გ—ლმა სტაცა ხელი, წაართვა ჯოხი და ის იყო სამაგიერო უნდა გადაეხადა, რომ მას ხელი სტაცეს, გააკავეს და დამფთხალმა პედაგოგმაც მოჰკურცხლა თავშესაფარისაკენ. ეს საქმე სასამართლოში წარმოებს და მის გარჩევა დანიშნულია 16 ამ თვეს, რის შედეგსაც მკითხველებს შემდეგში ვაუწყებთ.

ჯრიძე.

## საფრანგეთში

### „რადიკალური" სამინისტრო.

არჩევნები რომ დასრულდა, მას შემდეგ არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ახლად არჩეული დეპუტატები შეგროვდენ და პარლამენტის სხდომა გაიმართა. ოპოზიციის სამინისტროსთან შეტაკებაც პირველ სხდომაზევე მოხდა. პარლამენტს თავმჯდომარე უნდა აერჩია. წარსულ პარლამენტს რადიკალი ბრისსონი თავმჯდომარეობდა, მაგრამ ახლა ზომიერ-რეაქციონერებს ის აღარ უნდოდათ. მისი ამორჩევის წინააღმდეგი იყო მელინის მთელი სამინისტროც. ამის მიზეზათ ბრისსონის უკანასკნელათ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა შეიქნა. წარსული პარლამენტის დათხოვნის წინეთ მან სხდომას სიტყვით მიჰმართა და ყველა ნამდვილი რესპუბლიკელნი შესაერთებლათ მოიწვია. შიგა და შიგ მან კრიტიკა არ დაიშურა მელინის სამინისტროსთვის, რომელიც მუდამ „მემარჯვენეების" ე. ი. ნამდვილი რეაქციონერების შემწეობით განაგებდა ქვეყანას და ამით რადიკალების ოპოზიციას უძლებდა. ეს სიტყვა, რასაკვირველია, ყველას მახსოვრობაში ჩარჩა და, რა თქმა უნდა, სამინისტროს და მის მომხრეებს ბრისსონის გაშავება სწყუროდათ. რეაქციონერების გაზეთი „Figaro" ბრისსონის წინააღმდეგ წერილებს შემდეგი სათაურებით ბეჭდავდა: „La carriere finie" (კათავებული კარიერა) და ამტკიცებდა, რომ ბრისსონის წინსვლას სამსახურში ბოლო მოეღო და ის აწი ვერც თავმჯდომარეობას და ვერც მინისტრობას ვეღარ ეღირსება, მარა შემდეგმა სულ სხვა დაგვანახვა.

პარლამენტის თავმჯდომარეთ ოპოზიციამ ბრისსონი წამოაყენა, ზომიერ-მემარჯვენეებმა კი დეშანელი, საქმე კენჭზე მიდგა და მოპირდაპირე ძალთა მდგომარეობაც აქ უნდა გამოჩენილიყო. ერთი კენჭის უმეტესობით არჩეულ იქნა დეშანელი და ამას მოჰყვა მთელ პარლამენტში ტაშისცემა, სტვენა, ყვირილი და არეულობა. ზომიერების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ოპოზიცია კი პ რიკან ცეცხლს აფრქვევდა. ზომიერთა სიხარულმა დიდ ხანს მაინც არ გასტანა: პირველ სხდომაზევე დეშანელის ამორჩევა უკანონოთ ცნობილ იქნა და ხელ-ახალი არჩევანი დაინიშნა. მარა ოპოზიციამ აქაც ვერ გაიმარჯვა, პარლამენტის უმრავლესობამ ბრისსონი გააშავა და 7 თუ 8 ხმის უმეტესობით ისევ დეშანელი ამოირჩია.

ამ გვარათ აღმოჩნდა, რომ მელინის სამინისტროს სულ რაღაც 10 ხმის უმეტესობა ჰყავდა. ეჭვი არ იყო, სამინისტრო ასეთ მდგომარეობაში დიდ ხანს ვერ იცოცხლებდა. საკმარისი იყო მას ცოტა ფეხი წამოეკრა, რომ სავარძელიდან გადმოვარდნილიყო. მელინი მაინც სავარძელს მანამ არ მოშორდა, სანამ ასეთმა შემთხვევამ თავი არ იჩინა. რადიკალებმა მას მემარჯვენეების დატოვება მოთხოვეს,— ისეთ პოლიტიკას დაადექი, რომ რესპუბლიკელთა უმრავლესობა გყავდეს და რეაქციონერებს არ ჰსაჭიროებდე. მელინმა ამაზე უარი განაცხადა და სამინისტროც დაეცა.

და, აი, აქ დაიწყო დაუსრულებელი „კრიზისი". მთელი ათი-თორმეტი დღე საფრანგეთს სამინისტრო აღარ ჰყავდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი პოლიტიკოსს პოლიტიკოსზე იბარებდა ახალი სამინისტროს შესადგენათ, მარა კაბინეტის აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. რადიკალებმა იმდენი ტლინკები ჰყარეს, რომ ბოლოს სამინისტრო მხოლოთ მათგან შესადგენი შეიქნა. ფელიქს ფორმა ბრისსონი დაიბარა და კაბინეტის შედგენა დაავალა. აქ კი „მძიმე" ზომიერებს მოთმინებამ უღალატა. ბრისსონი, რომელიც მათ რამდენისამე დღის წინეთ გააშავეს, ახლა სამინისტროს მეთაური უნდა გამხდარიყო. ამ აზრს ისინი ერთ ხანს სრულიად ვერ ურიგდებოდენ. მათ იერიში პრეზიდენტზედაც მიიტანეს. შენ ჩვენი ამორჩეული ხარ, ჯამაგირსაც ჩვენ (!) გაძლევთ და ვალდებული

ხარ სამინისტრო ჩვენ ხელში გაიჩეროთ. მაგრამ ამ იერიშს არაფერი შედეგი არ მოჰყვა. ბრისონმა მაინც რადიკალური კაბინეტი შეადგინა და თითონაც სამინისტროს მეთაური გახდა. გაბატონდენ რადიკალები.

ამ გაბატონებას, რასაკვირველია, თვით პროგრამის გაბატონება უნდა მოჰყოლოდა თან, ამას მოელოდა ყველა. ზოგიერთები რადიკალებს რადიკალურ პროგრამით ელოდენ და შეტაკებაც ამ პროგრამის გამო უნდოდათ. საეჭვო იყო, წმინდა რადიკალურ პროგრამას პარლამენტში რომ უმრავლესობა მოეპოვებია. ამიტომ ბრისონის სამინისტროს პირველ დღესვე დაცემა თითქოს აუცილებელ მოვლენათ ჩანდა. მაგრამ რადიკალმა სამინისტრომ პორტფელებს უფრო მაგრათ ჩაჰკიდა ხელი, ვინემ საკუთარ პროგრამას. ის ტრიბუნაზე ზომიერი პროგრამით გამოვიდა და საკუთარი პროგრამა გვერდზე გადადვა. ბრისონის მიერ პარლამენტის წინ წაკითხულ პროგრამაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი კონსტიტუციის გადაშინჯვის შესახებ. ისე კი ეს გადაშინჯვა მთავარ პუნქტს შეადგენს რადიკალური პროგრამისას. სახელდობრ რადიკალები სენატის უფლებების შეკვეცას თხოულობდენ და პარლამენტის უფლების გაფართოებას. მეორე მთავარი პუნქტი რადიკალური პროგრამისა არის ქონებაზე პროგრესიული გადასახადის შემოღება. ამას ბრისონის განცხადება იხსენიებს, მაგრამ სულ სხვა სახით და ცოტათ თუ ბევრათ ბუნდოვანათ. იქ მოხსენებული რეფორმა რაც გნებავთ ის არის, მხოლოთ პროგრესიული გადასახადი კი არა. სამინისტრო აპირობს კარებზე და ფანჯრებზე დაწესებული გადასახადის მოსპობას და ამის ნაცვლათ დეკრესიული გადასახადის შემოღებას. დეკრესსია თან-და-თან დაკლებას ნიშნავს. ბრისონის სიტყვით, სიღარიბის მიხედვით ხალხს გადასახადი თან-და-თან უნდა შეუმცირდეს, ასე რომ ძალიან ღარიბი გადასახადისგან სრულიად განთავისუფლდეს. აქაც შეძლებულებს გადასახადი ემატებათ, მაგრამ წინანდელ რადიკალურ პროექტთან შედარებით ძალიან ზომიერათ. ამასთან სამინისტრო ქონების გარეგანი ნიშნების მიხედვით დაფასებას ჯერდება და მდიდრებს არ აძალებს ქონების ნამდვილი სიდიდის გამომჟღავნებას. ამ სახით შეძლებულს ეძლევა საშუალება თავისი ქონება პატარათ დასახოს და გადასახადიც ცოტა შეიხვედროს. ამ გვარ გადასახადის შემოღებაზე თვით ზომიერნიც არ ამბობენ ძალიან უარს. ორი წლის წინეთ კი ბურჟუას რადიკალური კაბინეტი გადასახადის რეფორმას ბევრათ უფრო ფართე და რადიკალურ გზაზე აყენებდა და თვით სამინისტროც მაშინ ამის მიზეზით დაეცა.



იმედი და სასოწარკვეთილება.

ერთი სიტყვით დღეს "რადიკალურმა" კაბინეტმა თავის რადიკალურ პროგრამაზე ხელი აიღო და ზომიერით პროგრამის გზას დაადგა. ამას კიდევ უფრო თვალსაჩინოთ შემდეგი გარემოება ამტკიცებს. ამერიკასა და ისპანიას შუა ომის ატეხის გამო ევროპაში პური საშინლათ გაძვირდა. იტალიაში ამას ხალხის ამბოხება და სისხლის ღვრაც მოჰყვა. საფრანგეთში ეს არ მომხდარა, მაგრამ მელინის სამინისტრო, არჩევნების შიშით, იძულებული შეიქნა, საბაჟო გადასახადი შემოტანილ პურზე ერთი თვის ვადით (1 მაისიდან 1 ივლისამდე) მოესპო და პურის უბაჟოთ შემოტანის ნება მიეცა. ერთი თვეც გავიდა და სწო-



რეთ ამ დროს ბრისონის კაბინეტს მართვა-გამგეობის ჩარხი ხელში დაურჩა; მას შეეძლო ეს ბაჟი სრულიად მოესპო, ან შეემცირებია. ბაჟის მოსპობა ან შემცირება მუშა ხალხისთვის სასარგებლო ზომა იქნებოდა, რადგან ბაჟის გამო პურს ფასი ემატება და, მაშასადამე, მუშა ხალხს ცხოვრება უძვირდება. მერე რა ჰქნა ბრისონის სამინისტრომ? არაფერი, ანუ უკეთ: — მუშა ხალხისთვის — არაფერი. ისიც საფრანგეთის მემამულეების სასარგებლოთ მოიქცა. მან ისევ წინანდელი ბაჟი დაადგინა და ამ გვარათ მელინის პოლიტიკა აქაც მისი პოლიტიკა გახდა.

რახან ბრისონის კაბინეტმა თავისი პარტიის პროგრამა უკუაგდო, ადვილი მისახვედრია, რომ მან პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა; 86 ხმის უმეტესობით პარლამენტმა მას ნდობა გამოუცხადა და მისი პოლიტიკური პროგრამა მოიწონა. მის წინააღმდეგ დარჩენ შეუდრეკელი ზომიერები და მემარჯვენე-რეაქციონერები. ესენი თუმცა სუსტათ, მაგრამ მაინც შეებრძოლენ ახალ კაბინეტს. თქვენ ჩვენი პროგრამა წაიღეთ და სირცხვილით წინ როგორ გვიდგებართო, შეჰყვირეს იმათ რადიკალებს. ეს ხომ ყველაფერი ჩვენია, თქვენ თქვენი გამოაცხადეთ, თუ ვარგიხართ, და ნახეთ მაშინ პარლამენტი გაგყვებათ თუ არაო. მაგრამ ბრისონი თავის გა-

ზომიერებულ პროგრამმას მაგრათ ჩაეკიდა და ამით სამინისტრო სავარძელზედაც შერჩა. სამინისტროს მიემხრენ რადიკალები, სოციალისტები, რამდენიმე ზომიერი და მთლათ ყველა „პატრიოტები“.

სოციალისტები, რა თქმა უნდა, ბრისსონის სამინისტროს უკმაყოფილონი არიან და პროგრამმის მიტოვებისათვის სასტიკათ დასცინიან. მილერანმა ეს მაშინვე გამოაცხადა და დაჰგმო კიდეც კაბინეტის ასეთი უპროგრამმობა. მარა რახან გაზომიერებული რადიკალური კაბინეტი მელინისას მაინც ჯობია, ამიტომ ჩვენ ამ ორში ერთს ვირჩევთ და ახლანდელ კაბინეტს ვემხრობითო. ყოველ შემთხვევაში ახლანდელი სამინისტრო მუშა ხალხისთვის ცოტა რამეს გაკეთებას მაინც აპირობს. ბრისსონმა მილერანის შენიშვნა უყურადღებოთ არ დატოვა. მან მაშინვე გამოაცხადა, რომ სოციალისტები და მისი პარტია მოწინააღმდეგენი არიან და ერთმანეთს ვერ მოურიგდებიანო. ამით მან მიდრეკილება მარჯვენისკენ გამოიჩინა. ის თითქო უკიდურეს მარცხენას იშორებს და სამაგიეროთ ზომიერების მოგებას ჰფიქრობს. მოუხერხდება ეს თუ არა, ამას შემდეგი დაგვანახვებს.

მარა ყველაზე უფრო საინტერესო „პატრიოტების“ მ-მხრობაა. ეს პატრიოტები იგივე ანტისემიტები არიან. მათი აზრით, თუ საფრანგეთიდან ურიები განიდევნებიან, ქვეყანა აყვავდება და ედემს დაემსგავსება. რომ ისინი თავისკენ დაეჭირა, ბრისსონმა სამხედრო მინისტრის პორტფელი კავენიაკს ჩააბარა. კავენიაკი დრეიფუსის მოწინააღმდეგეა და „პატრიოტებიც“ ამ გარემოებას უნდა დაემშვიდებია. ეს ასეც მოხდა. ამათ პარლამენტში გამოუცხადეს კაბინეტს: ჩვენთვის სულ ერთია თქვენი პოლიტიკა, ჩვენ მხოლოთ დრეიფუსის საქმე გვაინტერესებს და მიმხრობით ყოველ კაბინეტს მიეემხრობით, თუ იგი დრეიფუსის წინააღმდეგი იქნებაო. ჩვენი იმედი ახლანდელ სამინისტროში ერთათ ერთი კავენიაკი არისო. ამასთან მათ მოითხოვეს ამ საგანზე ინტერპელაცია. სამინისტრომ ეს მიიღო და ერთ კვირას შემდეგ დრეიფუსის საქმეზედაც თავისი აზრი წარმოთქვა. სამხედრო მინისტრს კავენიაკს ამ დღეს დიდი ოვაცია ხვდა წილათ. კავენიაკმა პარლამენტს გამოუცხადა, რომ დრეიფუსის დანაშაულში მე დარწმუნებული ვარ და მისი დასჯაც სამართლიანათ მიმაჩნიაო. აქ მან რამდენიმე წერილი წაიკითხა, რომლებიდანაც ვითომ დრეიფუსისგან სამშობლოს ღალატი ცხადათ ჩანს. მთელი პარლამენტი აღტაცებაში მოვიდა. რამდენიმე სოციალისტის გამოკლებით ყველა ტაშს უკრავდა და მინისტრის განცხადებას სიხარულით ეგებებოდა. თითქმის მთელმა პარლამენტმა კაბინეტს ნდობა გამოუცხადა და კავენიაკის სიტყვის აღბეჭდვა და ქუჩებში გაკვრა გადაწყვიტა.

დრეიფუსის მოწინააღმდეგე გაზეთების სიხარული უსაზღვროა. დრეიფუსის საქმე დაიმარხაო, ამბობენ ისინი. მარა როგორც ეტყობა, ეს აზრი არ მართლდება. დრეიფუსის საქმე თან და თან დიდდება და მეტ ინტერესს იპყრობს. კავენიაკის განცხადებას შემდეგ არ გასულა ორი დღეც, რომ კოლონელმა პიკარმა ბრისსონს წერილი მისწერა, რომელშიაც ამბობს, რომ კავენიაკის წაკითხული წერილები ზოგი ყალბია და ზოგიც დრეიფუსს არ შეეხებაო და ამის დამტკიცება მე კიდეც შემიძლიაო. აქამდის ამის გამოცხადება არ შემეძლო, ამას სამსახურის საიდუმლოება მიკრძალავდა, მარა რახან ახლა თვით მინისტრმა ხსენებული წერილები საქვეყნოთ გამოაცხადა, ჩემთვისაც დაბრკოლება აღარ არსებობს და საქმის გარჩევის დროსაც ყველაფერს ვიტყვიო. თუ რას იტყვის პიკარი, ეს ზოლას პროცესზე გამოჩნდება.

რაც შეეხება თვით ბრისსონის კაბინეტს, ის ჯერ-ჯერობით მაგრათაა და თავის მხარეზე საკმაო უმრავლესობა ჰყავს. ეჭვი არ არის, თუ ის ასე ზომიერობის გზაზე წავიდა, მისი მომხრე უმრავლესობა თანდათან გადიდდება. მარა ეს გადიდება იმავე დროს რადიკალური პარტიის ზნეობრივათ დაპატარავებას ნიშნავს. სამინისტროს პირველ გამარჯვებას უეჭველათ ზნეობრივი დამცირება ახლავს თან. საკუთარი პროგრამმის უარ-ყოფა მთელი პოლიტიკური პარტიისთვის თავის თავის უარყოფას ნიშნავს და საფრანგეთის ახლანდელი კაბინეტიც სწორეთ თავისი თავის უარმყოფელი კაბინეტია.

ფ. მაცრიშვილი

## შორს, შორს!...

ვინც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებითა,
სიმართლისთვის შმაგობს, ხელობს,
ჩანგს აჟღერებს, ბოროტსა ჰგმობს
და საქმით კი... ქუდა-მელობს!..
ვინც, სახალხოთ, მტარვალების
მოსასპობლათ მხამს ამზადებს,
და საქმით კი... იმათ შველის,
თავის ძლიერ ხელს აფარებს;
ვინც ხმა-მაღლა გადმოგვძახა
დაჩაგრულთა მიშველება,
და საქმით კი... დაგვიმტკიცა
ფარისევლთ მიკედლება;
ვინც ლექსების რახა-რუხით,
მსმენელთ ყური გაგვიჭედა,
და გულ წრფელსა ჩვენ ერში
სახელიც კი გაიჭედა:
არ გვწამს მისი არაფერი —
გაგვიგია ორ პირობა,
მის მგელობა, მის გველობა,
მისი მცნება!.. მისი მმობა!..
მაშ, შორს ჩვენგან, ფარისევლთ
დამცველო და მოციქულო!
სიბილწით და შურით სავსევ,
ცბიერობით გამსჭვალულო!
ვერ აგვიხვევ მგლებრ თვალებს,
ვერ დაგვბანგავ გველის ენით,
ჩვენ ზიზღსა გვგვრი, სულს გვიკვნესებ
მაგნაირი მოქმედებით!..
გაიგე, რომ ხალხი შგვე
თვით ცნობილობს თავის თავსა,
მადლობა ღმერთს, გვარიანათ
არჩევს კარგს და არჩევს ავსა!..
ის თხოულობს მეტ სინათლეს,
და თქვენ ამას შორს... სულ შორსა
განს გაურბით ისე, როგორც
ებრაელი ღორის ხორცსა!
ამ უსაზღვრო თქვენზე ნდობამ
ბოლოს მაინც გაგვაღვიძა
და ერთი ხმით დაგვაძა:
შორს, შორს ჩვენგან, ლალა, მიძა!..

გ. გოგოლაძე.

## ქუთაისის ხელოსანთა საყურადღებოთ.

ქუთაისში შემოღებულ იქმნა 1883 წელს ხელოსანთა განმარტოებული თვითმართველობა. ეს თვით მართველობა შედგება ხელოსანთა მამასახლისის და ორ მის თანაშემწესაგან; იმათ ირჩევს ხელოსანთა საზოგადოება კენჭის ყრით და ამტკიცებს თანამდებობაზე გუბერნატორი სამი წლის ვადით. ზემოხსენებულ მართველობას ექვემდებარება ყველა ქუთაისის ხელოსნები, განურჩეველათ წოდებისა და ეროვნებისა. ეს ხელოსნები არ დაიყოფიან ამქრებათ და არც ეკუთვნის მათ ამქართა უსტაბაში (რადგან ქუთაისში დამტკიცებული ამქრები არ არიან). წესდების ძალით მმართველების უმთავრესი მოვალეობა არის შემდეგი: 1) სახელოსნო მოწმობის მიცემა იმ ღირსეულ ხელოსანზე, რომელმაც იცის ნამდვილათ ხელობა და არის სრული წლოვანი. მოწმობის მიმღები უნდა გამოიცადოს ცოდნაში და უნდა წარმოადგინოს მმართველებთან თავისივე ხელით ნაკეთები ნივთი და შეამოწმონ დანიშნულ ექსპერტებმა, მათ შემოწმებას შემდეგ, თუ იქნა იგი ცნობილი მცოდნე ხელოსნათ, ეძლევა მოწმობა და ხდება მას საზოგადოებისაგან დადგენილი სახელოსნო გადასახადი; 2) მომუშავე ქარგალს უნდა ჰქონდეს საქარგლო მოწმობა და გამგეობის მიერ შემოწმებული წიგნი, სადაც იწერება, თუ როგორ და რა პირობებში არის იგი რომელიმე ოსტატთან და რა ეძლევა სამუშაო ქირა; 3) მმართველობა უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს, რომ უმოწმო ხელოსანს არ მიეცეს დუქნის გაღების უფლება; 4) ხელოსანთა გამგეობა ითვლება ჰემმარიტ მზურნველათ დავრდომილ უმწეო ხელოსნისა. (გამგეობის მოვალეობაა მათი მოვლა პატრონობა, თუ დავრდომილი და უმწეო ლოთობით [illegible] არის დაცემული); 5) გამგეობის მოვალეობაა ყოველ დროს მოიწვიოს ხელოსანთა საზოგადოება და იქონიოს სჯა ბაასი საზოგადოების საქმის გასაუმჯობესებლათ. და საზოგადოების ყველა გადაწყვეტილებაზე დაადგინოს განაჩენი, რომელზედაც საზოგადოებამ ხელი უნდა მოაწეროს, აგრეთვე მისი მოვალეობაა გაშინჯოს ხელოსანთა ქარხნები და გაიგოს მათი და შეგირდების მდგომარეობა. აი, უმთავრესი მოვალეობანი გამგეობისა. ახლა ავღნუსხოთ ის, თუ როგორ ხმარობს ამ ზემო მოხსენებულ უფლებებს ქუთაისის

ხელოსანთა მმართველობა. მას აქეთ, რაც აქ დაარსდა ხელოსანთა თვითმმართველობა, მმართველების თანამდებობისაგან გამოიცვალა 3 მამასახლისი მისი თანაშემწეებიანათ. ამ 15 წლის განმავლობაში დიდი გულ მოდგინებით ცდილობდა საზოგადოება, რომ გამოეძებნათ ისეთი ვინმე გულ-შემატკივარი წინამძღოლი, რომელსაც გაემართლებინა თავისი დანიშნულება და მით ხელოსანთა დღევანდელი დაქვეითებული, დაცემული მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, იმედები გაგვიცრუვდა და ამ უკანასკნელათ არამც თუ უწინდელებზე მჯობნი მმართველები ამოვირჩიეთ, არამედ გაცილებით იმათზე უვარგისნი. დღევანდელი მმართველები ხელოსნებისა სახელოსნო წესდებას თვალითაც არ ნახულობენ. იმათ თავისი უსტა-კანონები აქვთ და მით ხელ მძღვანელობენ. მაგალითათ: წესდების ძალით განმარტოვებულ გამგეობას არა ჰყავს დაყოფილი ამქრები, არამედ მთელი მისი ქვემდებარე ხელოსნები შეადგენენ ერთ ხელოსანთა საზოგადოებას და ემორჩილებიან მხოლოთ გამგეობას. არცა ჰყავთ ამქართა უსტაბაშები. ქუთაისში კი ხელოსნები დაყოფილია ამქრებათ და ჰყავთ უსტაბაშები, უსტაბაშებს ირჩევს ამქარი და ამტკიცებს თანამდებობაზე ხელოსანთ მამასახლისი; აქვთ თავიანთი დამღა (печатъ) და საუსტაბაშო ჯაჭვი, მაგრამ ამ უსტაბაშს უფრო მამასახლისი ირჩევს, ვინემ ამქარი, ამისთვის რომ თუ უსტაბაში არ იქნა მონა-მორჩილი ბატ. მამასახლისისა, თუ ის არ გაეცნო „ყანწის ჭეშმარიტებას“ (მამასახლისის დევიზია) და ხშირ-ხშირათ არ მიიწვია ბ. მამასახლისი სალხინო სუფრაზე, კვერი არ დაუკრა მის კანონიერ, თუ უკანონო საქციელს, ვაი მისი ბრალი; იმას მეორე დღესვე გამოაძევებს და მის ნაცვლათ აირჩევს სხვას, უფრო მორჩილს და გამგონს. გამოგდებული ვერსად ჩივის თავის შეურაცხყოფას, რადგანაც თითონ იცის, რომ ის ძალათ უსტაბაში უფრო იყო, ვინემ კანონიერი. თუმცა ოფიციალური ბრძანება მოუვიდა ბ. მამასახლისს, რომ ჩამოერთვას ძალათ უსტაბაშებს დამღა ჯაჭვითურთ და მათი უსამართლო გაფარფაშებული უფლებები აილაგმოსო, მარა ბ. მამასახლისს არც კი გაუმჟღავნებია ეს ბრძანება მათთვის, რადგანაც ისინი დიდათ თანაუგრძნობენ ხელოსანთა მამასახლისს და საერთო ფლავს ხომ საერთო მესუფრეები ექირვება. მეორე სახელოსნო მოწმობის მიღება აქ სულ სხვანაირათ სრულდება: თუ ვინმე მოიტანა მოწმობის ფული და მოიყვანა ორი კაცი მოწმობაზე ხელის მოსაწერათ, რომ ვითომ ის ხელობის მცოდნეა, მეტი არ უნდა: „მას არც წლოვანებას თხოვენ და არც ხელობის მინუშებს, ახალ გაბედნიერებულ ოსტატს სამიკიტნოსაკენ მიუთითებენ და საქმეც იჩარხება: უსტაბაში ხელის მოწერის წინეთ საამქრო ფულსა თხოვს, (7 მან. 50 კ.; არ ვიცით კი უსტაბაშები ამ ფულს რას უშვრებიან) მერე ხელს მოაწერს, დამღას დაასვამს და მამასახლისს გადასცემს; ის კი ხელის მოწერის დროს ამ სიტყვებს დასძენს: „ახლა კი სასადილო ბექედს დაეკრამო და სხვა..... აი, ამ ნაირათ ხდება ხელობის უვიცი ხელოსნათ. ხოლო ზოგიერთს მოწმობის ბეს გამოართმევს და ნებას აძლევს თავ-სუფლათ მუშაობისას: თუმცა დაბევებულ ოსტატს ხელობისა არა ესმისრა, მარა მუშტარს მაინც აუხვევს თვალს და ნამდვილ ოსტატობას იჩემებს. რაიცა შეეხება დავრდომილ ხელოსანთა პატრონობას, ეს მხოლოთ წესდებაში უწერიათ და ასრულებისათვის კი არავინ თავს არ იმტვრევს. მაგალითათ: აქ იყო ერთი დურგალი, რომელსაც დამბლისაგან ორივე ფეხები ჰქონდა წართმეული, საბრალო გორგოლაჭებით დადიოდა და ისე მათხოვრობდა, ისევ გამვლელ გამომვლელს შეჰყურებდა, თვარა გამგეობისაგან მას კაპეიკიც არ რგებია; ამ ჟამათ აქ ერთი ბრმა მეჩექმეა, რომელსაც თავის საკუთარი ქარხანა ჰქონდა და თითონ მუშაობდა, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, მოულოდნელათ დაბრმავდა და დღეს ღვთის ანაბარათ დაიარება უპატრონოთ, თუ გამვლელ გამომვლელი მიაწვდის თითო ოროლა გროშს, თვარა მისი გამკითხავი არავინ არის. იენისის პირველს აქ დაასაფლავეს ერთი აქაური ბრილიანტების მოხელე, რომელიც, თითქმის, სამი წელიწადი ლოგინათ იყო ავათმყოფობისაგან ჩავარდნილი; თითონ ძრიელ ღარიბი იყო, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, რომელთაც ისევ მისი მახლობელ მეზობლებისაგან ჰქონდათ, შეძლების დაგვარათ, შემწეობა და ისე გაჭირვებით უვლიდენ ავათმყოფს. გარდაცვალებას შემდეგ დასამარხი გროშიც აღარ ებადათ ჭირისუფალთ; ისევ ხელოსან ბრილიანჩიკებმა მოაგროვეს თავიანთ შორის ცოტაოდენი ფული და ისე დაკრძალეს. სა-

ბრალოს დარჩა ცოლი და 5 წვრილი შვილები, რომლების გამკითხავი არავინ არის. ნუ თუ არ ვიკითხოთ ახლა: სად ბრძანდება ჩვენი გულუხვი გამგეობის წარმომადგენელი ბ. კანდელაკი და მისი თანამგრძნობი უსტაბაში ი. ხ—ლი? ბ. ხოჯ—ლს აქვს შეგროვილი ბრილიანტების მოხელეებიდან ფულები, იმ ფულით სარგებლობს თითონ და ამქარს არავითარ ანგარიშს არ აძლევს; საჭიროა ბ. ხოჯ—ლმა შეკრიბოს ბრილიანტების ხელოსნები, მაბარებული მისდამი ფული წარმოადგინოს და იმ ფულებიდან რამდენიმე ნაწილი გაუგზავნოს გადაცვალებულის ქვრივ-ობლებს. აგრეთვე ბ. მამასახლისმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და გაამართლოს ერთერთი მუხლი მაინც წესდებისა. შეიძლება, თავის გასამართლებლათ ბ. მამასახლისი ამას იტყვის: სად აქვს სახელოსნო კასას ფულები, რომ რამდენიც ქვრივ-ობოლი გამოჩნდეს, ყველას ვაძლიოთო და ან საზოგადოებას ვინ მისცა ეგრე გასაცემი ფულებიო?... მართალია, მაგრამ მოიგონოს ის, რომ თუ ყოველ წლობით საღმრთო ილარიგება და თითო ხელოსანს ორ მანეთზე მეტი უჯდება უბრალო ქეიფი და ზურნაზე დროს დაკარგვა. უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ის ფულები სანახევროთ მაინც გადაეგდოთ უფრო აუცილებელ საჭიროებისთვის, რომელიც ყოველ დღე კარზე გვადგია?!.. სახელოსნო გამგეობა ვალდებულია ყოველ წლის დამლევს მისცეს საზოგადოებას წლიური ანგარიში, როგორც შემოსავლისა, ისე გასავლისა და აგრეთვე მომავალი წლის სმეტა დაამტკიცოს, მარა ჩვენ კურთხეულ ქუთაისში ეს ასე არ ხდება. მამასახლისის წინადადებით საზოგადოება ნიშნავს კომისიას, კომისია რევიზიას უშვრება. წარსულ ხანებში სარევიზიო კომისია შედგებოდა სამი, თუ ოთხი შეგნებული მოხელე პირებისგან, და მართლაც ჯეროვნათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას, მარა ხელოსანთა მამასახლისმა მათთან ვეღარ იპარპაშა ჩვეულებრივათ და მისი შთაგონებით საზოგადოებამ რევიზორებათ სხვა უსტაბაშები აირჩია, როგორც გულშემატკივარი პირები საზოგადოებისათვის!.. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა და ვის სასარგებლოთ გათავდება რევიზია... მოაწევს დრო რევიზიისა და მამასახლისიც მომზადებულია სარევიზოთ, ჩამოუვლის უსტაბაშებს და თხოვს: მობძანდით, რევიზია მიყავითო და დასძენს: „სადილათ ნუ გაიბნევით, გაგიმასპინძლდებითო“ და სხ.... რადა ბევრი გამოცანა უნდა, რევიზორებიც შეკრივდებიან და დაიწყებენ რევიზიას, ერთი მათგანი მდივნობს, მეორე თავმჯდომარეობს და არჩევენ წლის დაგროვილ საქმეს. ვის რა შეუტანია და ვის რა გაუტანია და, თუ ვინმემ შენიშნა უსამართლო წარმოება შემოსავალ-გასავლის, ან სხვა რამე, ვაი მისი ბრალი: დაეხვევიან მამასახლისა თავისი დამქაშებით და იმ წამსვე გააჩუმებენ. ასე თავდება რევიზია. ყოველთვის ანგარიში სწორი არის, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის, და მეტი რა მოეთხოვება რევიზორებს; ისინი წერენ პროტოკოლს და ყველანი ხელს აწერენ, და თუ ვახშამსაც ელიან, მადლობის ბარათსაც აძლევენ მამასახლისს და შემდეგ შემოუსხდებიან სალხინო სუფრას და რევიზიას „მრავალ ჟამიერ“-ით დაასრულებენ.

არ შეიძლება გაკვრით არ მოვიხსენიოთ აქაური ხელოსანთა სამკითხველო. როგორც მოგეხსენებათ, აქ აგერ, თითქმის 3 წელიწადია, რაც არსებობს სამმართველოსთან ხელოსანთა უფასო სამკითხველო. პირველ დაარსებიდანვე სამკითხველო განსაცდელშია. უწინ მკითხველები უფრო მეტი იყვნ, ვინემ ახლა და ან როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა რამე; გაზეთები და ჟურნალები სად ყრია ალახმა უწყის: ან ბ. მამასახლისის ჯიბეშია, ან და რომელსამე მის ნაცნობთან არის დაყრილი. რაც არის, ისიც კარ-ჩაკეტულშია და თუ მკითხველი სამკითხველოშია და ბ. მამასახლისს წასვლა სურს შინ, მაშინვე მოახსენებს მათ: მე მივდივარ და უნდა დავკეტოვო! მამასახლისის ასეთი ქცევით მკითხველებიც დაფრთხენ, წევრებმაც თავი დაანებეს და სამკითხველოს გამგემაც თავის მოვალეობას დიდი ხანია თავი დაანება....

ბ. ალექსიძე.

„ტ ა ხ ი.“

(მოთხრობა)

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა. *)

IV

Როდესაც იასონი იმ საშინელ ღამეს გარეთ დარჩა, ახალ-გაზდა ბახუ ორი თვის გამოსული იყო სასწავლებლიდან, რადგანაც სწავლის ფასი ვერ წარედგინა. მშობლებმა ამ ამბისა არაფერი იცოდენ; ბახუ სოფელს არ ეკარებოდა და თუ ქალაქში ვისმე სოფლელს დაინახავდა, ემალებოდა. დედ-მამის სიკვდილს შემდეგ კი მოვიდა მამისეულ სახლში და დაბინავდა. მას ოჯახობისა, რასაკვირველია, არაფერი გაეგებოდა და აღარც კადრულობდა სოფლურ საქ-

*) იხ. „კვალი“, № 29.

მეების ხელის მოკიდებას, მით უმეტეს, რომ იგი ახლა „ნასწავლიც“ იყო და აზნაურათაც მოჰქონდა თავი; ოცი წლის ყმაწვილი კაცი იყო და თავის პირველ მოვალეობათ რაცხდა კოხტათ ჩაცმა-დახურვას. ამ მიზნის განსახორციელებლათ მან გაჰყიდა ერთი კარგი ადგილი და იმ ფულით, ყველაზე ადრე ხმალი შეიძინა. ამ დღიდან იგი ხმალ-ჩამოკონწიალებული დადიოდა ტყეებში და მინდვრებში, სადაც ვარჯიშობდა; ხმლის მოქნევას და ხმარებას სწავლობდა, აი, რა სახით: დაჰკრეფდა ტყეებში პანტას, აივსებდა ჯიბე-უბეებს, გავიდოდა მინდორში, ააგდებდა ჰაერში ვაშლს და ამ დროს უცბათ ხმალს გაუქნევდა, საჭირო იყო რომ პანტა შუაზე გაეჭრა. ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებდა, მარა ხანგრძლივ ვარჯიშობას შემდეგ კი ჩინებულათ მიეჩვია და სწრაფათაც აპობდა ხოლმე, ასე რომ თუ სადმე კაიელიდით მინდორში, მისგან დახეთქილ პანტას აუარებელს ნახავდით. რაკი ღმერთი შეეწია და ხმლის მოქნევა და პანტა-ვაშლის შუაზე პობა რიგიანათ ისწავლა, ახლა სხვა უფრო თვალ-საჩინო საქმის სწავლა მოინდომა.

ვილამაც ასწავლა და ერთი დიდი ადგილი ბანკში დააგირავებინა: გამოიტანა ფულები, იყიდა ჩოხა-ახალოხი, ქამარ ხანჯალი და სხვა საჭირო სამოსი. ახლათ გამოკოხტავებულმა ჩაიხედა მამისეულ კედლის სარკეში, მიბრუნდ მობრუნდა, მიტრიალ-მოტრიალდა, დაუკვირდა თავის თავს, მოეწონა იგი და თქვა: ცოდვა არ არის, ჩემისთანა ყმაწვილმა შრომას მიჰყოს ხელი და მისი ჭუჭყი მოაცხოს ნაცვლათ იმისა, რომ შეჯდეს კაი ბედაურზე და არხეინათ იქეიფოს?!..

ბახუმ განზრახული სისრულეში მოიყვანა: იყიდა კაი ბედაური, შეჯდა ზედ და გასწია ქალაქისკენ, სადაც მან ორ კვირამდე დაჰყო. მთელ ამ ხნის განმავლობაში იგი იქ ლხინ მეჯლიშებს ეძლეოდა, ფლანგავდა მამისეულს; სამას მანეთამდე მიხარჯა და შინ რომ დაბრუნდა, მას ჯიბეში ერთი ფარაც აღარ ეგდო. პირველათ ბახუ ჩინებულათ ცხოვრებდა, ესე იგი, რიგიანი ჩაცმულ-დახურული იყო. დილას რომ წითელ ჩოხას ჩაიცვამდა, შუადღეზე თეთრს, საღამოზე შავს და, ერთი სიტყვით, დღეში ხუთ-ექვსნაირათ ეჩვენებოდა ხალხს, ვისაც კი ამისთვის ცალია. მაგრამ ვის ეცალა მისთვის? სოფლელების უმეტესი ნაწილი მუშაობდა, ცხარე ოფლს ღვრიდა და ბახუ კი... სეირნობდა, ხეტიალობდა და უფრო ხშირათ კი ქალებს ეარშიყებოდა. ბახუს საყვარელი ხელობა იყო ნადირობა გარეულ კურდღლებზე და შინაურ.... ქალებზე. მონადირეს ძაღლები უნდა ჰყავდესო, გაეგონა ბახუს და ამანაც გაიჩინა სახლში მწევარ-მეძებრები, იყიდი სანადირო ბუკი და ამ დღიდან მისი ბუკის ხმა და ძაღლების ყეფა არ შეწყვეტილა!—„გამოგვიჩუტა ყურები ოჯახქორმაო“, ამბობდენ სოფლელები და არც ტყუოდენ. ბახუ ნადირობდა, რასაკვირველია,—არა მარტო, მასთან იყვენ ხუთი-ექვსი მისებური ახალ-გაზდა. ბახუ უფროსათ ითვლებოდა, ყველა მის რჩევაზე დადიოდა, ყველას მისი ნათქვამი რწამდა, მის ნებას დაურთველათ არას შვრებოდენ; ერთი სიტყვით, ბახუმ შეადგინა ერთი პატარა წრე, რომელსაც თითონვე მეთაურობდა. ამ წრის წევრები ბახუს თავის ჭკუაზე ჰყავდა გაწვრთნილ-გამოზრდილი. მაგრამ დრო-ჟამი მიდიოდა და ბახუსაც ნელ-ნელა უდგებოდა ახალი ხანა ცხოვრებისა.—ჩოხები შემოაცვდა ტანზე, ნამუშავარი აღარ მოუდიოდა, რადგან სახნავ-სათესიც შემოაკლდა და ამასთანავე, როგორც ვიცით, თითონ არ მუშაობდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ იგი იძულებული შეიქნა გაეყიდა ოც თუმნიანი ბედაური ხუთ თუმნათ! მარა ესეც მალე შემოელია. ამას ისიც დაერთო, რომ მწევარ-მეძებრები „კუჭის ანთებით“ დაეხოცა, სოფლების შემაწუხებელი ბუკი საღლაც დაეკარგა, ასე რომ დღე ნადირობა ახლა მისთვის შეუძლებელი შეიქნა. მეტი რაღა გზა იყო,—ბახუმ დაიწყო თავის ამხანაგებით ღამე ნადირობა. ჯერ-ჯერობით „გაშლილ ნადირობას“ მიჰყვეს ხელი. იპარავდენ: ცხვარს, გოჭს, ქათამს, ინდოურს, ღვინოს, ყველა ამაებს დააგროვებდენ ხოლმე ბახუს სახურავ-გადაგლეჯილ სახლში და დროებას ატარებდენ; ნამეტნავათ ბახუ შეიქნა ბახუსის თაყვანის მცემელი. ერთხელ, ერთ ამ გვარ ლხინის დროს, ბახუმ ზემო ხსენებულ ცხოველებს სახელები დაარქვა: ცხვარს უწოდა „აბრამი“ გოჭს—„ვასილი“, ქათამს—„ოქრო პირი“, ინდოურს—„ბლაღოჩინი“; ეს სახელები ყველამ გაიზეპირა და ამას შემდეგ არა თუ ღამე, დღეც კი „ნადირობდენ“ ხოლმე.—„აბრამი“ შინ ბძანდება?—დაიძახებდა ერთი. „აბრამი კი არა „ბლაღოჩინიც“ შის გვილავთო, უპასუხებდენ და მაშინ ცხვარი და ინდოური ჰყავდათ ნანადირევი. კარგა ხნის განმავლობაში ვერავინ შეიტყო, ვინ ჩადიოდა ამ ოინებს. ბოლოს, რასაკვირველია, ყველაფერი შეიტყეს; დაიჭირეს ქურდები და ხელებ შეკრული წაიყვანეს ქალაქისკენ, სადაც ბახუს ამხანაგებს თითო წლის ტუსაღობა გადაუწყვიტეს. ბახუმ კი რაღაც მანქანებით სულ გაითავისუფლა თავი.

ბახუ ისევ სოფელს მიეკედლა, გავიდა ერთი წელიწადი ამ ამბავს შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში ბახუ იმავე საშუალებით ირჩენდა თავს, რითაც ამხანაგების დროს მხოლოთ უფრო მოხერხებულათ კი. როდესაც მისი ამხანაგებიც გამოუშვეს სატუსა-

ლოდან, იმათ მოძებნეს თავიანთი ბახუ რომელიც მათ ისე მიეგება, როგორც მასწავლებელი დიდი ხნის უნახავ შეგირდებს. განახლდა ისევ მათში ძველი განწყობილება.

ერთხელ, სოფელში ყველას ეძინა. უმთვარო ღამე იყო. არ ეძინა მხოლოთ ბახუს და მის შეგირდ-ამხანაგებს. ამათ წინა დღით თათბირი ჰქონდათ, რომ იმ ღამეს ვინმე გაექურდათ. ახლა ამის სისრულეში მოყვანას შეუდგენ. დროც ხელს უმართავდა. ფეხ-აკრეფით მიაშურეს ერთი გლეხის სახლს, ჩუმათ გამოანგრიეს საძირკველ ქვეშ გამოშენებული ყორე, ბახუმ დაარიგა ამხანაგები, რომ ფრთხილათ ყოფილიყვენ, თითონ კი დაღუნა თავი და შეძვრა სახლში. სახლის პატრონი ერთი ცოლ-ქმარა იყვენ, ამათ ღრმა ძილით ეძინათ ხალიჩით მოფენილ ტახტზე. ეს ტახტი სწორედ იმ კედელზე იყო მიდგმული, საიდანაც ბახუ შემოძვრა. ამან გაალაგა სახლიდან ყველაფერი, რის გატანაც შეიძლებოდა და ჯერი მიდგა ხალიჩაზე, არ უნდოდა მისი დატოვება, რადგანაც ეს ახალი იყო და კაი ფასათ გავიდოდა. ბახუმ ნელ-ნელა დაუწყო მას წევა. ეწია, ეწია და მთლათ გამოღებას ცოტაღა უკლდა, რომ სახლის პატრონს გამოეღვიძა, „ქურდიო“, იყვირა და წამოვარდა ფეხზე. ბახუმ ნახევრამდის მოასწრო გარეთ გაძრომა, რომ სახლის პატრონმა და მისმა ცოლმა წაავლეს ფეხებში ხელი და ეწეოდენ შინ. ბახუს ამხანაგები მიეშველენ, ამათ თავისკენ დაუწყეს წევა და საბრალო ბახუ კინაღამ შუაზე ჰაწყვიტეს. ბოლოს, რათიც იქნა, შინაურებმა აჯობეს და ფერმიხდილი ბახუ შეათრიეს სახლში; შეჰკრეს, შებოჭეს და მეორე დღესვე ქალაქისკენ გაამგზავრეს. იქ მას მაშინვე ციხეში უკრეს თავი, მაგრამ სანამ საქმე გადაწყდებოდა, ბახუმ თავდებით გამოიშვა თავი (თავდები ამხანაგებმა უშოვეს). გავიდა ხანი. ბახუს გადაუწყვიტეს ხუთი წლის ტუსაღობა და დაჭერილი უნდა წაეყვანათ ციხეში, მაგრამ, დაჰე უბედობას იგი ამ დროს საშინელი მძიმე ავათმყოფი შეიქნა; საშინლათ ახველებდა და სულ სისხლს აღებინებდა. ქალაქიდან ექიმი მოვიდა, მარა რაღა გაწინჯვა ეჭირებოდა,—საბრალო საშინლათ ხრიალებდა და სისხლს არწყევდა. ექიმმა რიგიანათ ისადილა, რაღაც საიდუმლო შეასრულა ბახუსთან და არ „მორჩებაო“ წარადგინა, სადაც ჯერ-იყო. და ან კი რა მოარჩენდა ამდენ ნადავიდარაზებ კაცს?!. მთავრობამ მაინც ერთ ხანს უცადა: იქნება მორჩესო, მაგრამ ამაოთ. ბახუ მოკვდა. იყიდეს კუბო, ჩაასვენეს შიგ, აუნთეს სანთლები, და თავზე მედავითნე დააყენეს. მთავრობისაგან კაცი მოვიდა; ნახა მკვდარი ბახუ და ეს განაცხადა უფროსთან. ყოველივე გათავდა, დაწყნარდა საქმე... ბახუ მკვდარი იყო, მკვდრათვე ჩაწერილი სასამართლოში და, აბა, მკვდარს ციხეში რა უნდა?..

ახლა დავუბრუნდეთ პირველ თავს, თვარა მგონი, ქორწილიც დაგვავიწყდა და მეფე-დედოფალიც, ანტონაც და მისი რძალიც!

დ. თომაშვილი.

(შემდეგი იქნება)

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ.ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშუალებით, სიმართლის აღსადგენათ, საყოველთაოთ აღვნიშნოთ ის ცილის წამება, რომლითაც post factim ვითომ და თავის გასამართლებლათ ბატონმა სალარაძემ გამოილაშქრა ჩვენი აგენტის წინააღმდეგ. მკითხველმა კარგათ უწყის რომ ივერიის მე № 119 ნომერში (ჲ ივნ.) აღნიშნული იყო ოდესელ ქ. სტუდენტების მიერ ბ. სალარაძის არა საკადრისი საქციელი. აი ამ ყოვლად სამართლიანმა, როგორც ქვევით დაინახავს მკითხველი, კორესპონდენციამ აიძულა ბ. სალარაძე ერთი არა მოსაწონ საქციელისათვის დაუყოვნებლივ მეორეც ზედ მიეყოლებინა. საქმე იმაშია, რომ ერთ დღეს შემდეგ, ივერიაში სტუდენტთა წერილის მოთავსების, ბ. სალარაძემ ბანკის სკოლაში ნახა ჩვენი აგენტი და უზრდელათ მიმართა მას საყვედურებით, ვითომ და მის სახელის შემბღალავს: „თქვენ გადაგიციათ სტუდენტებისათვის ვითომც მე მეთქვას სიტყვა: გნანობ, ეს ტუუილია, გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ, ფუ, ფუ!“ და რომ ამხანაგების თვალში ვითომ და თავი გაემართლებინა, თავის არა საკადრის საქციელში, ამ უწმაწურ სიტყვებს მრისხანეთ და მუქარით, მაგიდაზე ხელის ბრახუნიც მიუმატა. საოცარი დაჟინებაა—„არ მითქვამს სიტყვა გნანობ,“ ამაზე დავეკითხებით ბ. სალარაძეს, მაშ რაღა გამოიწვია ჩვენი აგენტის შემდეგი პასუხი თქვენდამი, თუ არ თქვენმა სიტყვამ „გნანობ.“—„თუ თქვენ იმას ნანობთ, რომ ხუთი მან. გადმომეცით, იმას უკანვე დაგიბრუნებთო.“ ასეთ პასუხს დამსწრე მასწავლებლები ამტკიცებენ და განსაკუთრებით ის ფაქტიც, რომ აგენტმა, ოდესელ სტუდენტების ნებართვით, გადასცა ბ. სალარაძეს ოთხი თვის განმავლობაში ერთხელ მოცემული ფული, ხუთი მან. და მანაც თავის გამოტირებულ ჯიბეში ჩაიდვა და ყოველივე დანაშაულობა სტუდენტობის და აგენტის წინაშე დავიწყებას მისცა, მანამდის, სანამ ბოლო დროს, ორი თვის შემდეგ ხუთი მან. მიღებისა, მისი საქციელი პრესაში არ აღნიშნეს. სწორეთ რომ ასეთი თავის

გამართლება მოსალოდნელი იყო ბ. სალარაძისაგან. რასაკვირველია ამას შემდეგ აღარავითარ ჩვენი აგენტის და იმის ამხანაგების პასუხს ის ყურს აღარ უგდებდა და აგენტიც მისი საქციელით შეურაცხყოფილი სახლიდან გამოეშურა. ეს უკანასკნელი ინციდენტი იმავე დღესვე ქუთაისში მყოფ ოდესელმა ქ. სტუდენტობამ გაიგო და საქმის ვითარების გამორკვევას შემდეგ მიმართეს ბ. სალარაძეს წინადადებით, რომ მას დაუყოვნებლივ ბოდიში მოეხადა მათი აგენტის წინაშე, მაგრამ ბ. სალარაძემ ოდესელ ქ. სტუდენტებთან არავითარი საქმის დაჭერა არ ისურვა; შემდეგ ამ საქმეზე მთელმა ქუთაისელმა ქ. სტუდენტობამ გამოიძია თავი და ბ. სალარაძეს დეპუტაცია გაუგზავნა — ან ბოდიში და ან სამედიატორო სამართალიო; — არც ეს წინადადება ეპიტნავა ბ. სალარაძეს და დეპუტაციას განუმეორა პირველივე პასუხი. წარმოიდგინეთ ბ. სალარაძის უცნაურობა: თუმცა აგენტის სურვილისა და მისი წინადადების თანახმათ ორჯერ იყო დანიშნული ამხანაგთა სამართალი, მაგრამ მან არც ერთზე დასწრება არ მოისურვა. აქ აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ორივე კრებაზე დაესწრნენ ყველა ის პირნი, ვისაც თანადასწრებით მოხდა პირველი ინციდენტი — აღნიშნული ივერიის მე 119 №-ში და რომლებიც სრულებით ეთანხმებიან კორესპონდენციის შინაარსს. ამას შემდეგ მივანდვია პატივცემულ საზოგადოებისთვის ბ. სალარაძის საქციელის დაფასება.

P. S. რაც შეეხება ბ. სალარაძის თავის გამართლებას გვალის 26 №-ში (ივნისის 21) ჩვენ მხოლოდ შევნიშნავთ ქართულის ანდაზით: ბ. სალარაძევ სიტყვას ბანზე ნუ აგდებთ და გირჩევთ მიედ-მოედობის მაგივრათ ნიღაბი აიხადოთ და საზოგადოების წინაშე ხმა გაგვცეთ. სოცარია თქვენი საქციელი: სტუდენტების გაძვზე ყარის თქმა, post factim, თავის მართლება, აგენტის შეურაცხყოფა, 35 მ. მაგივრათ, ამდენ უსიამოვნობას შემდეგ 25 მ. გაგზავნა „ახალ მიმოხილვის" რედაქციაში ოდესელ ქ. სტუდენტებისათვის გადასაცემათ, მაშინ როდესაც თქვენ დიდიხანია კარგათ იცოდით, რომ თქვენი საქციელის შემდეგ ჩვენ თქვენ ფულს უკან აღარ მივიღებდით და ბოლოსაც ის ფაქტიც, რომ თქვენ ყოველ გვარ პატიოსან სამართალს გაექცით ნუ თუ ამას შემდეგ ბ. სალარაძეს კიდევ შეუძლიან თქვას, რომ ის იდეის გულისათვის აიძულეს ქ. სტუდენტებმა?! არა, ბ. სალარაძევ, ეს მხოლოდ პოლემიკაა და არა საკადრისი თავის მართლება. რისი და ვისი ლიტერატურულ შრომის ჩაგავლენას აწერ „ივერიაში" ჩვენ მიერ კორესპონდენციის გაგზავნას, ნუ თუ თქვენ არ იცით რომ სტუდენტს არ სცალიან თქვენის დიდებულის შრომის მაგვარი წასაკითხავათ; ვინც წაიკითხა თქვენი წიგნი მგონი ისინიც ნანობენ რომ ტყუილათ დრო დაჰკარგეს. გამეორ? თუმცა სტუდენტებს ბევრს არ წაუკითხავს თქვენი წიგნი, მაგრამ ყოველთვის კი მზათ არიან და თავს იდებენ ისეთ სამარცხვინო საქმეებზე, როგორიც ჩაიდინეთ თქვენ ბ-ნო სალარაძევ.

ოდესელი ქართველი სტუდენტი საბა. კლდიაშვილი

## საქველ-მოქმედო საქმე

ჩვენ მოგვივიდა ჭიათურიდან, ბეს. დეკანოსიძესაგან შეკრებილი შემოწირულება მეფე ერეკლეს ფონდის მისამატებლათ. შემომწირველთა სია; 2 მ. ბეს. ბიჭ. დეკანოსიძემ, მიხ. ქადაგიძემ და დ. კირტოძემ. 1 მ.: ლ. ჭიეშვილმა, როსტ. გ. მაჭავარიანმა, პ. ამილახველმა, გ. მაჭავარიანმა, ს. ორჯონიკიძემ, გლ. ჯაშმა, გ. კიკნაძემ და ლ. ჯანელიძემ. 50 კაპ.: ერმ. პ. ავალიანმა, გ. რ. ცქიტიშვილმა, სარდ. მიქაბერიძემ, სპ. კიკნაძემ, ივ. დეკანოიძემ, ალ. ცხადაძემ და გ. ჭაკჭიანიძემ. 40 კაპ. ირ. კაპანაძემ. 30 კაპ. ივ. ტიტიშვილმა. 25 კაპ: სოფ. ფუტკარაძემ. 20 კ.: იბ მატბერაშვილმა, ა. № და კირ. ცისკარაძემ. სულ 19 მ. 5 კაპ.

თავმჯდომარე კომიტეტისა კნ. ნ. ქობულოვისა ულრმეს მადლობას უძღვნის, როგორც თვით ბეს. დეკანოსიძეს, აგრეთვე ყველა შემომწირველთ.

## „ქვალის" ფოსტა.

სოფლის მუშას. თუ გსურთ თქვენი წერილის დასტამბვა, გვაცნობეთ თქვენი ვინაობა და ადრესიც. უსახელო წერილებს რედაქცია არ სტამბავს.

ჯეჯილის გამოცემა

ზანგი და თეთრი

შვიდი ცინკოგრაფიული ნახატით.

ფასი 15 კაპ., ხოლო საჩუქრათ, ვარაყიან ყდაში, ეღირება 1 მან. იყიდება „წერა-კითხვის საზ." წიგნთ-საცავში და „ჯეჯილის" რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Дов. ценз. Тифлисъ, 18 Iюля 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. მ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 41.